

ლიტერატურული განცემი

№48 22 აპრილი - 5 მაისი 2011

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თათრი

ვაჟა ხორნაული
გედნივრეპა

IV-V

თამაზ ყურაშვილი:
„გდიდარი
ბიბლიოთეკა და
მისი ათვისება არ
არის საკმარისი
იმისთვის, რომ
ნოვატორი
გაცდე...“

XIII



ერთგულება და მონატრება
მზესთან ერთად ფუსტუსებენ
სიყვარულის კარ-მიდამოში.

ტკივილი — ლურსმანი უცვეთელი
და დარდი — ჩაქუჩი,
ბედისწერის მარჯვენას შეზრდილი.

სასწაულივით ახსოვს დედამიწას
პირველი წყაროს დაბადებით
განცდილი ტკივილი...

გ ე დ ნ ი ვ ე ბ ა
ქალის თვალებში ჯერ ცა გამოჩნდა,
მერე — უცნაური წათება
და ბოლოს — ცრემლი...

რა ქანა კედელმა — მის ერთ მხარეს
მღერის ვილაცა,
მეორე მხარეს კი ვილაცა ტირის.

წინაპრის სევდიანი თვალებით
გიყურებს ფარი,
მუხუმში დაბერებული,
მახვილთა ნაპერნებით
გაბრწყინებულ ცას დანატრებული.

როგორც მზის სხივის გამონასკვა,
როგორც ჰაერზე ფიფქის მიჭედება, —
წარმოუდგენელია სიცოცხლე უშენოდ.

მხოლოდ ბაგებმა იციან,
რა მანძილია კერტებს შორის,
რა აღმართ-დაღმართები...

შვილი ძალიან, ძალიან იგვიანებს
და ლამის სიხარულით ატირდეს
დედა იმ ქვეყანაში...

გაზაფხულის სითბო-სინათლეში
ხარობენ ფრინველები,
როგორც ხმოვნები
სიყვარულის საგალობელი.

სიზმარში საკუთარი ჩრდილი მოუბრუნდა
და გაულინება...
სად უნია ცოდვამ ცხადისამ!

სათვალეს უფლება აქვს,
სახეზე დაგვასკუბდეს,
ცხვირის ჰორიზონტი გაგვიწითლოს
და ყურებზე ჩამოგვეკიდოს.

გულიდან სიტყვა გამოვიდა,
ღრუბლიდან — მნათობი...
როგორ დაამშვენეს ერთმანეთი,
ცამ როგორ გაიხარა!

გაუბრაზდები და შეკრთება,
როგორც წაკადული,
ღრუბლის ჩრდილმა რომ გადაუარა.

უცნობმა მხედარმა ჩაიკროლა,
ცოლმა გახედა, საკინძე გაისწორა,
ქმარმა შეამჩნია
და თითქოს დანის პირი შეეხო გულზე.

ზოგჯერ ისე ვეწვდებით ერთმანეთს,
როგორც გაწყვეტილი სიმის წაწილები.
მერე ღმერთის თითებს მივენდობით
და ახალი იძილება...

და უცებ: თვეითმფრინავი,
როგორც ცის ერთი წაპირიდან
მეორისკენ ნასროლი ქვა.

დიდი ხანია, არ გამოჩენილა,
მაგრამ მისი სითბო აქაა —
საათის და მზის გამოხედვაში,
ზამთრის სიჩუმეში,
გაზაფხულის ღრუბლების ჩრდილში.



ვაჟა ხორნაული

ზედმეტი სიტყვები —
საენერგია და მიწა მიწა
და ვარდი ვარდი ვარდი.

დედის გული სამოთხის პირმზითია
და შვილის სიყვარული —
ამ პირმზითის სითბო და სურნელი.

აქა-იქ ბაღები ამონათდა
და ქალაქი ოდნავ დამშევიდდა,
როგორც ავადმყოფი,
ჭრილობებზე მაღამოდადებული.

სინათლე თვალებზე გეამბორა,
ბალახმა სანთლები აგინორ,
ცამ გულზე გაბეჭრა
მირნი ვარსკვლავების.

ბარტყებს თავისი ჩრდილი დაახურა,
სითბოს სარწულიანი,
და საზრდოს მოსატანად გაფრინდა.

ლმერთმა გულში
ჩაიკრა პოეტი
და ახალი სარკმელი
გაიხსნა სივრცეში.

ღრუბლები — ღმერთის ბარათები,
ბრძენება ერთის წაკითხვა
სიცოცხლის ბოლომდე...

ღვთისმშობელი — მშვენიერი
და ხალისინი,
როგორც გაზაფხულის
პირველი დილა.

ყვავილზე ლამაზად
მხოლოდ ლექსი
თუ დაიბადება.

და არც დარდი გაკლია —
და ვარდული ეკლესის
ზარივით მიმე...

ნასახლარიდან (რომელიც აღარა ჩანს)
სასაფლაოსაკენ
(რომელიც ასევე წაშლილია)
მიდან აჩრდილები და ღმერთმა იცის,
დაბრუნდებიან თუ აღარა...

მონატრებული ქარებისაგან
ოკენე როცა აღელდება,
მწერვალებს უცხო წათელი გადაუვლის.

ფუტკარი — თაფლის,
პოეტი — ხელნანერის
მეომარი მახვილის ფერია.

მხოლოდ საკუთარ ჩრდილს
და პატულებებს ზემოდან...

წიგნაკი — ჯიბის მუზეუმი
მისამართების
დაბადება და გარდაცვალება.

ბედნიერებაც ასეა ზოგჯერ —
გაუვალ ტყები რომ მიდინარ
და წყაროს წააწყდები.

სიკვდილმა სავალი გაუწმინდა
და მწერებაზე ავიდა სიცოცხლე
უკვდავების ყვავილის ასათებად.

თავდავიწყების სინათლეში
უჩინარდებიან გულები,
როგორც ვარსკვლავები
დღის დაბადებისას...

ვინაა, გულში რომ აგიტირდა,
თვალები ასე
ვისმა სევდამ გაგილამაზა?

წყაროს ირგვლივ
ჩამომსხდარ მგზავრებს
გაგონებენ საათის ციფრები.

ცისა და დედამიწის
სიჩუმე გაგრძნობინებს,
რომ უფალს უყვარსა.

ოჯახი — წიგნია,
მამა — ყდები და თავფურცელი,
დედა — სითბო ყოველი გვერდისა.

გ ე ც
ამოსვლა — ღმერთის ერთგულება,
ჩასვლა — ლოცვა სიცოცხლისათვის.

ც ე ლ ი
წაქცეულ სიმწვანეს
სცვივა ყვავილები
და ერთმანეთის ჭრილობები
სტკივათ ჰაერსა და სინათლეს.

ქალს პურისა და ყვავილების
სურნელი შემოჰყვა,
ხოლო კაცს — მინისა და რკინისა.

ძველისძველი მეზობლები —
დარდი და სიხარული —
ერთმანეთზე ლამაზი ცელებით
ახალი სათიბისკენ მიდიან.

ღმერთის ფიქრი —
ფრთხად გამოსხმული
და თვალების ფერად ქვეული.

ფიქრი სადღაც სივრცეში შეჩერდა
(თითქოს გზა აებნაო)
და შენი ფიქრი წამოენია
და ერთად განაგრძეს სავალი.

ჯერ რა ლამაზად დაიბადნენ
და ახლა რა ლამაზად ქრებიან
ბეხრის სითბო და ჩვენი საუბარი.

სიტყვებს ისე ალაგებ,
როგორც ღმერთი ყვავილებს
ბილიკის გასწვრივ...

ძველისძველი წიგნიდან ახალში
გადაიტანება ხმელი ყვავილი
და გადასვენება გაგახსენდა
პოეტის...

მზე ზღვის იქით,
ზღვის აქეთ მე,
თენების სიჩუმე და მუსიკა,
ტალების ქორწილი.

სიკვდილი ყველას ერთხელა კლავს,
ხოლო მეორედ დაბადებულს
ახალი სივრცისაკენ ულოცვას გზას.

ქმარმა საათიდან
მზერა გზაზე გადაიტანა
და იგრძნო ცოლშია —
იმ გზის ბოლოს სხვა ქალი ხარობდა.

უდაბნოს ფილიალი —
წიგნი, რომელშიაც
ერთი ლექსიც არაა სიყვარულზე.

ყოველ წაბიჯზე „როგორა ხარ?“
წუთუ ერთმანეთის სახეებზე
ვერაფერს ვკითხულობთ?!

გაილია, დაპატარავდა ზვავი —
თითქოს თეთრი ზურგჩანთაა,
ზამთარს რომ დაავიწყდა წასვლისას.

და ლექსი იბადება,
როგორც ხეზე ყვავილი,
როგორც ცაზე ვარსკვლავი,
როგორც კელაპტარი შანდალზე.

ამალება და ზიარება
გაზაფხულისა —
სიმწვანე ცის წაპირებს ეხება.

ყანნმა როგორლაც გაიხსენა,
რომ შვილისვილია ქვევრისა
და მერე ამაოდ მიტვრა თავი,
თუ რომელ თაობას ეკუთვნიან
პატარა სასმისები...

ხატების წინ დახარა თავი
და წელში მოიხარა,
ვით წიავგადავლილი ყვავილი.

კა ყ მ ა

ადვილად ვერ იპოვი —
როგორც შამპში
დაკარგულ მარგალიტს.

ხ ე ც ი

მეხისგან წაქცეული — შეწირული,
ცულით მოჭრილი — განწირული.

ჩემი კითხვა მოვიდა შენთან
და, როცა დამიბრუნდა,
გვერდით ედგა ძახილის ნიშანი.

ბზარი
ჩუქურთმასთან გაჩერდა,
გადარჩია ტაძარი...

მონატრების დღეები ერთმანეთს
ისე უხდებიან,
როგორც აყვავებული ხეები.

ს ი ყ ვ ა რ უ

აივნოს გაღურები

ემიგრანტ მეგობრებს

როცა ვწნდებოდით,
ანუ როცა ვიჩეკებოდით,
ჩვენს შეიფეხ გარსზე
ქარს მოუხვდა ძლიერად ტოტი,
და ასე სწრაფად, ფართხაფურთხით გამოგვასახლეს
ჩათეთქვილ ფრთხით, სამუდამოდ სარემონტოთ.

შორს ვერ მივდივართ —
გული ლამის ყურებში გასკდეს,
როდესაც ღრუბლის ლიანდაგი
ციდან აუხვევს,
ჩვენი კანკალი ზოგს ჰგონია სიმაღლის ელდა —
ჩვენ აივნების ფითრი გვაწუხებს...

არ ვხედავთ სიზმრებს,
ესე იგი არაფერს ვიკლებთ
და რაც თენდება მზეზე ადრე —
ჩვენი თვალია,
დიდი ქალაქის ნამცეცებით ძალ-ღონეს ვიკრებთ
და ქალაქებიც, ნამცეცებიც — ტკბილი მწარეა.

ჩვენ მივაცილებთ ჩილებს ბაღში,
დიდებს — სკოლაში,
ვსხვდვართ ქვებთანაც და საფლავებს
კარტივით ვიყოფთ,
და თხელი ფრთხებით უწნავთ იმათოვის
ჰაერის გვირგვინს,
ვინც თამაშობს — „არ ვიყოთ — ვიყოთ“.

მხოლოდ ხანდახან,
როცა სხვები სადმე მიდიან,
და მათ ზურგებსაც გადალოკავს
სიშორის ჭავლი,
ჩვენ ვწვდებით ზეცის ბილიკებზე
თოვლის მაგირ
და გადმიოფრენას ფიფქებად ვსწავლობთ.

ჩვენ ვერ წავედით,
გაჩენისას დაგვაზარალეს,
და გულებს — ღმერთის ნათითურებს —
ჩუმად ვახველებთ.
ჩვენი კანკალი ზოგს ჰგონია შიში, სისუსტე,
ეს — სამშობლოა —
ჩალენილი გარსის ნალველი.

* * *

ვტრიალებ ანმყოში,
ვიგებ და ვამარცხებ,
ვამტვრევ და ვაშებებ,
ქვას ქვაზე ვამატებ,
ფოთოლს თაგულზე,
ნარღვებზე — ნაჭერს,
ანმყოში ვაგორებ
ვარსკვლავის კამათელს,

და კი არ ვთამაშობ —
— მომავლით ორსული —
მე ნარსულს ვაჩენ.

თავარის ლექსი

ნაცემი ძალივით გავდივარ ზამთრიდან
და, მიუხედავად იმისა, რომ
გასასვლელ კარს ჯერაც აჭრიალებს ქარი,
და მიუხედავად იმისა, რომ
ნაბიჯებიც თოვლჭყაპში მრჩება,
და მიუხედავად იმისა, რომ
ზამთარი იყო ისეთი დიდი,
ისეთი უტყვი და მიუვალი,
გეგონება ყველა სიტყვა
ერთბაშად ითქვა!..
და მიუხედავად იმისა, რომ
შუაცეცხლთან როგორც იქნა მილასლასებულს
სველი ტოტებით გამომენთო
ცა — თებერვალი,
ყალყზე შემდგარი ულაყივით
იქამდე მდია,
ვიდრე თოვლის ფაფუკ პერანგში
მინის ხორცი არ გამომჩარა,
და, მიუხედავად ამისა მაინც
როგორ ვიბრძოლე შუაცეცხლთან
ჩემი ცოტა ადგილისათვის,
როგორ ვეფიცხე შორიახლო
და მის ჩეილ გულზე
ჩემი გულის კერცხი ვახალე,
მომდევდა და



ნინო სადლობელაშვილი

ჩაკვნეტილი ყეფა-წკავწკავით
თავი მაინც გამოვარიდე.
მიყვიროდა, სიმწრისაგან
ჩალურჯებულ ღრუბლებს მიტყლაშუნებდა,
და მიუხედავად იმისა, რომ
აღარც ძალა შემრჩა, აღარც
თვალისწინი
და გარეთაც ჯერ ისევ ბრელა
და ვარსკვლავები სიმკვახისგან
ჩაყლაპისას ინამღებიან,
მაინც გავდივარ დიდი ზამთრიდან
და მივუწულებ გაზაფხულისკენ —
— პირში გაჩრილი,
ნერწყვით დამბალი
შუაცეცხლის სიზმარი რომ
ვინებს თვალებში
სამუდამოდ დავაპინავო.

მიმართათვის

განა შენ გტირი, მამაჩემო,
განა შენ გეძებ,
— მე სარკეში საკუთარ თაგს ვათვალიერებ.
რა უსასრულო ქედებია,
თაფლისფერი სათიქები,
მზის სარტყელით შეკონილი
ზერები, ღურჯი საბალახონი,
წვანან და არც კი ბერდებიან,
ვარსკვლავებივით ბევრდებიან,
ლანდები — ჩვენი ჩასაცმელი,
ცის მაკრატლით გამოჭრილი
საბალახონე.
განა შენზე ვყეფ, მამაჩემო,
ანდა განა გეთამაშები —
მე სარკეში შენი ომი გადავიხადე,
აი, დამჭრეს,
აი, დავჭრი
და ზამთარიც, ქვის სანგარში
მარტომ გავძელი,
რა სიმღერაც წამოიწყე,
პირველსავე პანგში აგყევი,
მდინარემ კი ეს სიმღერა
თავქვე გზებით გადაიხატა.
განა შენ გჩივი, მამაჩემო,
ან შენ როგორ შეგეჯიბრები,
— მე სარკეში ჩემს თავს ვამთელებ.
მიწვდი მკლავებს და
დაუცლელი, ტვირთისგან, ხელით
მაინც გენვდები,
გულის ბორცვიდან ჩიტი გადმოგყავს
მტრის საფლავზე ჩამოსაჯენად,
რომ მის ბალახზე
ლვარდი გათელოს.
შენ კი არ გვადები, მამაჩემო,
კი არ გცოცხლდები,
— მე სარკეში ჩემს საკუთარ თავს ვიმეორებ.
ან ეს სარკეც სადმე თუა,
ან შენ სადა სარ,
რატომ დუმხარ, როცა
სივრცის სარკეებში
შენი შვილები გემანჭებიან,
როცა გბაძავენ, გიმსგავსებენ,
შენს იერს და მიხვრა-მოხვრას
ხელალებით ისაკუთრებენ,
როცა გთხრიან და
გზებს ტოვებენ ღრმულებ-ჭებიანს...
სადა ხარ, თეთრო მამაჩემო,
მზის აკორდებით მომღერალო,
ყველა სარკეში არეკლილო,

ყველა სარკიდან ამომქრალო,
უშველე შვილებს,
მიმბაძველებს,
გადამკითხავებს,
ვინს სიზმარშიც კი, თამაშისგან
მუხლებს იტყავებს,
ვინც მარტოა და
ერთ დილასაც, გაფრენას ფიქრობს,
გამოჩნდი, კარგო მამაჩემო,
ბნელ სივრცეებს გადაეფარე,
სულ ქარი ქრის და
ამ ჩემს სანთელს დღედაღამ მიქრობს...

ეს სიმღერაც, განა შენ გკადრე, მამაჩემო,
განა შეგტირე,
— მე სარკეში ჩემს საკუთარ თავს ავუხირდი.

ზრთაგი და ხელები

თეო კუხიანიძეს

თენდება ჩემს მტრიან სამფლობელოში.
თენდება და შემოდის მზე,
რომ კვლავ ხილული გახადოს
რაც სიძრელეში ძლიერს მივაყუჩე,
რასაც წყვდიადის ნამცეცები ნავაპნიე,
როგორც ღვინის ღაქა — მარილი,
რასაც ფრთხებით ძლიერივობით გადავეფარე,
რასაც ვეემარე.
შემოვიდა მზე, რომ
ხელახლა ააზმუვლოს
ფრთხებქეშ მოწყვდეული აბრეშუმის მხეცები,
ამ მზის შუქზე გამჟღავნდებიან,
აიშლებიან და ფრთათამორის ბუმბულიდან
ჩემებინ წამოვლენ.
რა კარგი იყო სულ პირველად,
როცა ყველანი შეხმატებილებულად ვცხოვრობდით:
ერთად მოგვიჩინეს ბინა
ამ პატარა, თაფლისფერი თეატრის სხვენში,
გვიყლიდა კეთილი მეთოჯინე,
გვაცმელება და გვასუფთავებდა.
ჩვენი სიძრავზე მოელს ქალაქში განთქმული იყო
და როცა რამპის ჩირადღები აინთებოდა,
ნამით მთვარეც კი, სახურავზე, სუნთქვას იკრავდა.
ყოველდღე გვექონდა წარმოდგენები.
ჩვენ ერთმანეთის წარმატებას ვარსკვლავებს
ვთხოვდით
და საბამოქამს,
ყველაფრის შემდეგ,
სპექტაკლზე და
ჩვენს როლებზე ვმასლაათობდით.
სხვენში შავი ვარდის ჩაის
სურნელი იდგა,
რომელიმე,
სარკმლიდან თუ ხელსაც გაყოფდა
და ვარსკვლავის შაქარყინულს კვინიტს შეამტვრევდა...
ჩემს შექმნაში მთელი დასი იყო ჩაბმული:
ვარდისფერი ფარჩა-ატლასი,
მარმაშების თხელი ნაოჭით,
ალაგ-ალაგ ზღვის მორებში შეთრეული
აბრეშუმის სილურჯეები.
ფრთხებზე სამმა მხატვარმა და მეთოჯინემ
ერთად იზრუნა:

ისინი უნდა ყოფილიყვნენ,
როგორც განთიადის მარაოები,
როგორც ზეცის ახლებილი ჰორიზონტები —
უცხო, უცხო სინათლეთა მუდმივ
მთველეობი.
რადგან, მთელი წარმოდგენის
სიდიადე მე ვიყავი:
ნატვრის სული, უფრო — ოცნება,
და ყოველი წარმოდგენა
ჩემი ფრთხებით ბოლოვდებოდა.
ასე ვცხოვრობდით.
ყველას თავისი საქმე ჰქონდა:
დედაბერი ვარცლთან იდგა და
მეუღლის ბადეს რეცხავდა,
მწყემსი ბატქის გაჩენაში
დედა-ციკანს ეხმარებოდა,
კაცი თიხის თასებს ზელდა
და როდესაც ნასამხრალზე,
მთიდან თხილის ვაგონები
ჭოტებივით მოაკივლებდა,
დეგბოდა და ამლერებულ მემანქანეს
ქუდის ქეველი ესალმებოდა.
ყველას თავისი საქმე ჰქონდა,
განუმეორებელი, ლამაზი,
ნარმოდგენა კი, საკუთარ თავს ავუხირდი.

შემოვიდა მზე,
რომ გაანათოს
ჩემი ფრთხებქეშ მორღვეული ნაწიბურები,
თვლებჩაშლილი გვირისტები,
რომ თაფლის წვეთივით ჩააკვდეს
ჰორიზონტის გადანაკემსებს,
რომ გაამჟღავნოს
ჩემი თავნაცლილი მამლებივით ოცნებები,
ჩემი ოცნებები,
აბრეშუმის მხეცები.
რომ მერამდენედ შემახსენოს,
ერთხელ, ვითარცა თოჯინებმა,
მე და ჩემმა კოლეგებმა
ფრთხები და ხელები როგორ გავცვალეთ.
ჩამოვისენი,
ჩამოვიჯავე როგორც იქნა
ამოდენა ნისქილის ქვები,
რომლებითაც მარტო ფრენა თუდა შემეძლო,
მარტო მათი მეფიდური გაშლა-დაკეცვა
მაშინ, როცა სხვები,
ჩემი მეზობელი თანასხვენელი
იმ უფრთხო, უსიმძიმო,
ხის და ბამბის უშნო ხელებს
რისთვის ალარ იშველიებდნენ,
იმ ხელებით რა სასწაულს არ სჩადიოდნენ,
ბავშვს აჭმევდნენ, ქინძს ნაყავდნენ,
თვალი-თვალში ამოყავდათ
ფარდაგების მოქარგვისას ჭრელი გვირისტი...
მე კი, დიდი-დიდი
იმათ თავზე ლალად მეფრინა
და ზემოდან დამხეხდა მისთვის,
რაც უჩემოდ იქმნებოდა, ხელ-მწიფდებოდა...
ავდექი და რიგორგობით
მე ყველასთან ფრთხები გავცვალე.
გამოვისხი ხორცით საგსე თეთრი მელავები
და ათასი საქმისათვის დავიკაპინე.

შემოდი, მზე,
მზეო შენი დიდი თვალი შემოაგორე,
შენ უშველე დილაბინდით ანრიალებულს.
მზეო, აგერ კაცი გორავს,
ცოტა ხნის წინ თავის ფრჩხილით
მიწა ჩიჩქნა,
თხარა, თავის მელავისივრძე
ორმო სანამ არ გათხარა,
მასში ჩიტი ჩააწვინა,
ჩიტს ბალახი წააფარა,
ორი ცრემლი, როგორც ორი წაწყვეტილი
აბრეშუმი,
ზედაც ისე დაადინა,
ამპბენ, რომ იმ კაცს ჩიტი შეუყვარდა,
ფერებისას შემოაკვდა,
რადგან კარგად ვერა ფლობდა
მიერებულ ხელებს,
რადგან ხელებს სხვა ძალა აქვს,
რადგან ხელებს შეუძლიათ
მინსავით ამოთხარონ
სხეულიდან სული...

მზეო, ახლა ის კაცი ვარ
და ჩემს თავზე ჩემი ფრთხებით
სხვა თოჯინა დაფრენს...

გათენდა ჩემს მტვრიან სამფლობელოში.
მოვა კეთილი მეთოჯინე
და უკვე სულ სხვა წარმოდგენისთვის
ჩემს მარმაშებს ისევ ითხოვებს.
ვიცი, ვუყვარვარ.
უყვარს, როცა
მარტო ვზივარ, უფრთოდ, უხელოდ,
და ჩემი თავის მოლოდინში
ჩემს თაფლიან სიმღერას ვტირი.



ვახტანგ გოგოლაშვილი

უხაზოპლობა

„... ვიღუნიდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტო
ვმკვიდრობდ ქუეყანასა ზედა.“
გალობანი სინანულისანი

ბრგუნვილი ენით მიჩივლია ჩემი ობლობა,
უმეზობლობა მიტირია,
უმეზობლობა.

ვიქმენ ღვთის მხილველ და უფალმა თვითონ მაცნობა,
მარტო პრობლობა მარტო
მარტო შრომა,
მარტო ცოლი.

არა გამაჩინდა,
არა მქონდა,
არა მებადა,
დაცხრნენ აღძვრანი უხილავ და ხილულ ვნებათა.

ოდეს განვედი ეშმაკთ განხდად, ოტებად მტერთა,
მაშინაც ვიყვა მხოლოდშობილ ძესავით ერთა.

ბევრი, ვისთვისაც შემიმართავს ხმალი მკვეთარი,
ყოფილან ლირნი და ნაშობნი იქედნებათანი.

ამიტომ ვზირდე საუთარი იმედით მხოლოდ
ჩემი პატარა უმეზობლობ ქვეყანა ბოლოს.

მივეც გელათი — თეთრ ღრუბლებში შეჭრილი ქორი,
ისე საჩინო,
ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის.

გამოვუჭედე სატევარი, აბჯარი, თორი,
ისე ნათლის-ფერ,
ვითა ელვა ღრუბელთა შორის.

ჩავყარე ვაზი, დავასხურე მაისის თქორი,
ისე შვენიერ,
ვითა ვარდი ყვავილთა შორის.

დაგზარდე შეინი, დავსხი გზასა უკაცრიელსო,
კაცთმოყარენი,
ღმერთთა შორის ვითა იესო.

ნავედი წყნარად...
შეიდი ადლი წავიდე ტილო...
ბრგუნვილი ენით მაინც მოთქმად დავმჯდარვარ, შვილო.

არც სილატაკე, არცა მტრობა, არცა ობლობა,
უმეზობლობა მტანჯავს შენი,
უმეზობლობა!

ჩემო ჩალგათონ

მინდა ჩემი სიზმრის ნათელს დაგატოლო,
სიყრის გახსენებავ, ჩემო ქალბატონო.
თბილო მოგონებავ, მართლა საოცარო,
ჩემო ტაძარი და ჩემო სალოცავო,
ჩემო ყრმობა მხოლოდ ჩემთვის მეორდება,
შენ კი სულ სხვა,
სულ სხვა პრინცი გელოდება;
მაინც გამინათე ცა უკაბადონო,
ჩემო პანაწინა, ჩემო ქალბატონო.

ათასავარ მითხვა

ათასჯერ მითხვა — „გეტრფიო“, ათას მეერთედ მსურს,
რაღაც არ ეჭეშმარიტა შენი ნათევამი სულს.
ვით უთქვამს ეფრემ ასურსა — ბაგეო, სიტყვით შვენ,
ჭეშმარიტების მარილმან შეგამარილოს შენ.


ათასეუთასი ლეის ნინათ

ათასეუთასი წლის წინათ, არც თუ ისეა შორი,
ეს მაშინ იყო, ხოხობსა რო მიუტივნეს ქორი.

ალაგ მდუღარე წყაროთა ოდეს იხილეს მხედართ,
აღმენდებოდა ტფილისი, აღთხელდებოდა მცხეთა.

ნადირთა ქლეტად მეფემან ცადა ისართა ძალა,
შემცირდებოდა არმაზი, გამდიდრდებოდა კალა.

მთის წერზე შევდგით ქალაქი, მარიხ-ზუალის სწორი,
ათასეუთასი წლის წინათ... არც თუ ისეა შორი.



მარტო მოგონებანი

ესეც ჩემი საქართველოს მოხატული მთა-ბარი,
ესეც ჩემი დავითი და ესეც ჩემი თამარი,
ესეც შოთა — საქართველოს მიწურული ზაფხული,
სიტყვა არსად გაგონილი, სიტყვა არსად ნახული.

ესეც ჩემი გელათია, ესეც ჩემი თმოგვია,
შეხედე და მოგონება ნანატრივით მოგივა...
ეჱ, ჩამცხრალან ტკივილები, ჩაფერფლილან ვნებანი...
მარტო მოგონებანი...
მარტო მოგონებანი...

ერთხელ იქნება

ჩემს ვახოს
ერთხელ იქნება —
მოგონება შეგძრავს გულამდე,
დღევანდელ დღეში ჩატოვებულ ნაცნობ სურათებს
ჩამოცვენილი ფოთლებივით ქარი მოხვეტავს...
ერთხელ იქნება —
მოგინდება უკან მოხედვა.
ერთხელ იქნება, გაიხსენებ წაკითხულ წიგნებს,
თანაკლასელებს, თანატოლებს, შენსავით ციგნებს,
პირველ სიყვარულს...
სიყვარული არც არის იქნებ?
სოფელში ნანას აყვავებულ ქათქათა ტყემლებს,
სულ უმიზეზო,
უმიზეზო სიცილს და ცრემლებს,
დალეულ ლვინოს,
დალვრილ არაყს ყველა ოხერთან...
ერთხელ იქნება —
მოგინდება უკან მოხედვა
დიდი ხნის მერე...
(დიდხანს ჩემი ღმერთი გაცხოვრებს)
იმ მოხედვისთვის,
მოხედვისთვის დამიმახსოვრე!

მოგონების სიმღერა

კართან მოდგა შემოდგომა ნაადრევად მოგრენილი,
გაზაფხულის მეგობრები დამეფანტნენ ფოთლებივით,
ზოგი ომის ქარიშხალში, ზოგი კიდევ მშეიდობაში,
ზოგი იქით — ბაგშვობაში, ზოგი აქეთ — დიდობაში.

ის დღები მენატრება გულსავსე და მხიარული,
მომენტინა ქვეყანაზე უმეგობროდ სიარული,
ეს ცხოვრება გაგვიცლია, გვიწვალია, გვიომია,
ძნელი არის მოძინის პოვნა, დაკარგვა კი იოლია.

ო, რა უცებ გაფანტულა შორეული სიხარული,
ძალზე ხშირად მახსენდება ის პირველი სიყვარული.
რა ყოფილა მოგონება, გული დარდით დამექარგა,
სიყმანვილის ბილიკებზე ერთი გოგო დამეკარგა.

მენატრება მისი ნახვა, მისი გული მხიარული,
მომენტინა ქვეყანაზე უალერსოდ სიარული.
ეს ცხოვრება გაგვიცლია, გვიწვალია, გვიომია,
ძნელი არის სატრფოს პოვნა, დაკარგვა კი იოლია.

ემზარ კვიტაიშვილი

የገዢ የፈት

15.07.2007. დილიდანვე ვფიქრობ ჩემს
უბედურ, გაუხარელ ძმაზე, ვაცტანგზე,
რომელიც აუნერელი ტანჯვით გაშორდა
ამ ქვეყანას. სასაფლაოზე გასვლა არ მიყ-
ვარს. შინაურებს სანთელს ვუნთებ ხატთან,
ოთახში.

ვახტანგი ორწლინახევრით იყო ჩემზე
უმცროსი, მძლავრი გონება და ათვისების
დიდი უნარი ჰქონდა. ერთად ვიზრდე-
ბოდით გურიის სოფელში ბებიასთან და
მამიდასთან. ოთხი კლასის დამთავრების
შემდეგ მე თბილისში გადმომიყვანეს, სწავ-
ლით იგი ჩემზე უკეთესად სწავლობდა.
საკვირველია, სამუალო სკოლაშივე აუდლ
ალლო ფრანგულ ენას. არავინ მიხმარებია.

ნაღველი მიწვავს გულს, როცა ის წლები მახსენდება. პატარაობისას ხშირად ვჩხუბობდით ხოლმე. იოლად კარგავდა წონასწორობას. ერთხელ, კინ კლაობისას, კერიასთან, მუგუზალს წამოავლო ხელი და სახეში ჩამარტყა, კინაღალ თვალი წამაგდებინა. დიდხანს მენვოდა ღუდუდობიანი კურიმალი, მაღამო დამადეს. მეორედ დანას დასტაცა ხელი და წავართვი, მაჯა


გადაუგრინებ. ქვებიც დაგვიძებია ერთ-მანეთისთვის, გამილახავს, მაგრამ გამეტებით არ გამიმეტებია. ახლა საშინლად განვიცდი ყოველივე ამას. მამაჩემი იმხანად დაჭერილი იყო. რაღა თქმა უნდა, უკიდურესად გვიზირდა. ბებიაჩემი, ლეონინა ფირცხალაიშვილი, რას არ იგონებდა, წელებზე ფეხს იდგამდა — ხორცსაკეც მანქანაში ატარებდა რძეჩამდგარ ჭყინტ სიმინდს, მსხალს ურევდა და რაღაც საცოდაობას აცხობდა. ეტყობა, მაშინ დამიზანდა კუჭი — დღემდე მანამებს გასტრიტი თუ კოლიტი. სოფელში დარჩენის გამო, ვახტანგს დედაჩემისთვის საყვედური არა-სოდეს უთქვაშს. ერთ ზაფხულს, დედამ დანწერული რომ ჩამიყვანა, უზომოდ გახარებული ვახტანგი კისერზე ჩამოეკიდა, კოცნიდა. დედას ცრემლები მოერია, თვითონაც დიდხანს კოცნა, შვილო, ჩემგან უყრადღება გაკლიაო. ამაზე იმან მაშინვე უპასუხა: რას ამბობ, დედა, არაფერი მაკლია, უხმარ ბამბაში მხვევო. გურიაში იყენებენ ხოლმე ასეთ ფრთიან გამოთქმას, როცა მადლიერების გამოხატვა უნდათ.

მამაჩემი, შვიდი წლის პატიმრობის შემძლებელი, 1949 წელს, ჩრდილოეთ პოლუსზე, ტუნდრის საუფლოში, ყინულოვანი ოკეანის მახლობლად, მეშახტეთა ქალაქ ვორკუტაში გადასახლეს. ამან ახალი სადარღელი და გულისხეთქვა გაგვიჩინა. სტალინის სიკვდილის მერე, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე, ვახტანგი, დედაჩემთან ერთად, ზაფხულში, ვორკუტაში წავიდა, მამაჩემს ჩაკითხეს. ორივენი ვერ წავიდოდით, იმან ჩემზე უფრო მოინდობა და არ შევეცილე.

ყველამ იცის, რა სულისშემცუთავი
დღო იყო და ჩემი თბილისში ყოფნისას
დაატყდა ახალი უბედურება ჩვენს წელში
გაწყვეტილ სამშობლოს. ხალხთა დიდმა
ძელადმა და მისმა დამქაშებმა მაინც-დ
ამაინც შობა დღეს, 1951 წლის 25 დეკემბერს
მოაწყვეს წინასწარ დაგეგმილი საშინელე-
ბა — ოჯახები, რომელთა შვილები და
ნათესავები გერმანიასთან ომის წლებში
ტყვედ ჩაბარდნენ, დედაბუდანად აყარეს
და საქართველოდან შორს, ძირითადად,
შესაძლებელი სახლის ხოლო.

ମାମିଦାରୀରେମ୍, ଅନ୍ତର୍ଫାସ, ମର୍ଯ୍ୟାଳୀଲୋ ଏକ୍ଷେ, ରା ଝର୍ଣ୍ଣାଖେତିପ ଧାତୁରିରାଲାଙ୍ଗ ଲାନହିବ୍ୟତ-
ଶି. ତାଣିକୁ ଉର୍ଜାଶାର୍କ ଶ୍ରୀପିଲ୍ଲେବା ଗବାରି
ମେଶଲ୍ଲେବା) ଦା ମିସମା ଦେଖିବା ଆଶାଲ୍ଲିହାପ୍ରାଣିଲୋ,
ଦ୍ୱାରିନାନ୍ତି କୁର୍ରେବି ନେରାକ୍ଷେତି ଧାତୁକ୍ରିଯିଶ,
ପ୍ରେଲାଭ୍ୟାରି ଧାନାଭାନ୍ଧିକ୍ରିୟାଶିଳମ. ଏହିପାଇଁ କାରି-
ମିଡାରୀରେମ୍, ଅନ୍ତର୍ଫାସ, ମର୍ଯ୍ୟାଳୀଲୋ ଏକ୍ଷେ,

იმ დამით, ჩვენს დაბალ ხის აივანზე თხა
ამოქაუნებულიყო, ვახტანგს და მამი-
დაჩერმსაც გაღვიძებოდათ. მამიდა მიამ-
ბობდა — აჯახევახებული მომეურა: მამიდ-



იკო, ჩევენს წასაცემანად მოვიდნენო (დამპატიოლებულები ეგონა თურმე). ვერაფორია ვერ დაუწყნარებია, აღარ დასძინებია საწყალს. ვფიქრობ, იმ ღამეს გატყყდა საცოდავის ფსიქიკა. მინახავს მონაფეობისა დროინდელი მისი დღიური, შეაგ ბლოკინტეში ჩანერილი. ზოგი რამე აშკარად არ მომენტონა. მოვფიანებით მამაჩემმა მითხრა — ბავშვობაში შესაძლოა რაღაცა ფარული ინფექცია გადაიტანა და ტვინი იმან დაუზიანაო.

ერთი კია, უმაღლესში გამოცდები ჩაპარების დროს არავითარი დახმარება არ დასჭირვებია და უცხო ენების ინსტიტუტში ბრწყინვალე სტუდენტი გახდა საუკეთესო სპეციალისტი, სერგო წულაძე ესავით საფრანგეთიდან ჩამოსული გვაჩვენებულია აღფრთოვანებული იყო — ასეთი ნიტის ყმანვილი ჯერ არ შემხვედრია სამომავლოდ მისი დიდი იმედი მაქსომალე სწორედ ეს მომავლის იმედი გადაეწურა. ფრიადებით დახურა მეორე კურსადა რამდენიმე ამხანაგთან ერთად დასალევად წასულიყო. რესტორანში ხორციი კერძი ეჭამა. ნასვამს, შინ დაბრუნებულს გული არეოდა. ჩვენ გვიან დავბრუნდით თურმე კუჭის ამორცებვა იყო საჭირო. შეს ამები თავში აუგარდა და შუალამისასა გამოლვიძებულმა საშინელი ყვირილი ატეხა, ტკივილისაგან თავი მეპობა და უცხაურ სიცარიელეს ვგრძნობო. რვა თვე არ სძინებია იმ დღიდან. რა არ იღონ მამაჩრებმა, სად ალარ წაიყვანა, რა წამლები არ სცადა, მაგრამ ვერაფრით ვერ იხსნა. ოქექსმეტი წელიწადი გაგრძელდა მისა ჯოჯოხეთური ტანჯვა (ერთხელ დანართას ვა ყელზე და ძლივს გადაგარჩინეთ) 1975 წლის მარტში თავი მოიკლა.

სხვაგარად მიყვარს განსაციფირებელი ოსტრატის ჰერმან ჰესეს გამჭვირვალე ნაღვლიანი და ლრმა, შესაშურად პოეტურ პროზა. იგი დასავლური კულტურის ული ირსეულესი, მკვიდრი შევილია, მაგრამ ძირი ფესვიანად აქვს შეთვისებული აღმოსავლეთის (უფრო ინდოეთის) სიბრძნე და მომხიბელება.

ლობელა, ძვილივით საყვარელა ადამიანმა ჰესეს ერთტომეული მათხოვა გადახედეთო. წაკითხული რაც არ მქონდა, იმავე საღამოს ჩავუჯერი. გამაოგნაშემძრა მისმა დოკუმენტურმა პროზამ — „მოგონებები ჰანსზე“, სადაც თავისი უმცროსი, უბედური, ცხოვრებაში რამდენადმე ხელმოცარული ძმის ამბავი ესეის ტურად და ამავე დროს შემაძრნუნებელ სიმართლით აჭავს მოთხოვილი.

ମୋଗନ୍ଦେଶ୍ୱା-ୟୁଶ୍ସ ଶ୍ରେଷ୍ଠାବ୍ଲ ନାନ୍ଦିଲ୍ଲଶ୍ଚ
ଲୂପାରାକ୍ଷା “ଗାମିନ୍ଦ୍ରାଵିଦ୍ଧବିଶ ନାମ୍ବେଥ୍ବି”, ରାତ୍ରି
ଭାବିତୀରେ ଶ୍ରେଷ୍ଠବ୍ରତିରେ, ଆଶ୍ରମରେ ବାହ୍ୟରେ, ତାମର୍ଜେ
ଦିଲ୍ଲୁଖୁରାନିର୍ଦାନ ତାମର୍ଜାଲନ୍ଦ୍ରବ୍ରତି ଯେ ମରମ୍ଭନ୍ତିରେ
କୁଳାନ୍ତିରେ ଅନ୍ତରେ ଅନ୍ତରେ ଏହାରେ କୁଳାନ୍ତିରେ

ბით რომ გრძელდებოდეს, ვერაციი
გაუძლებდათ, — წერს „ტრამალის მგე
ლის“ ავტორი. იქვე ახსენებს იმ ადამიანებსა
რომელთაც ფიქრადაც არ მოსდიო
„გამოღვიძების წამების“ არსებობა, ჩა
კეტილები არიან თავიანთი უცვლელ
„მე“-ს კაშპი, როგორც ნოეს კიდობანში
უყურებენ (სასხვათა შორისოდ) მათ გვერ
დით ჩაქროლილი სიცოცხლის, იგივე
სიკვდილის დინებას, ხედავენ — ეს დინება
როგორ მიაქანებს უცნობებსა და მათ მე
გობრებს, ძახილს ადვენებენ იმ საწყლებსა
დასტირიან და რატომღაც სჯერათ, სამა
რადუამოდ დარჩებიან კლდოვან ნაპირზე
და სულ ასე შეხედავენ ქვეყნიერებას
გაქანებული დინება არ ჩაითრევთ და სხ
ვებთან ერთად არ დაიხოცებიან.

თავდაპირველად ჰესე იხსენებს ბავშვ
ვობას, შობის ჯაფოსნურ საღამოს, როცა
ოჯახში უფროსები პატარებს საჩუქრებები
ურიგებენ. აქ აღწერილია, სიხარულისგა
როგორ გაუბრწყინდება ჰანსს თვალები და
გაიღიმებს. ეტყობა, იმ ღიმილის სრულად
ამომწურავად გადმოცემა შეუძლებელი
იყო, მაგრამ სამუდამოდ კი აღბეჭდილ
უფროსი ძმის მეხსიერებაში. მას შემდევ
ჰანსს ისე აღარ გაულიმია, დარჩა ერთად
ერთი სიხარულის ამარა, საშობაო საჩუ
ქრად მიღებულმა კერამიკის ლამაზმა
ციცქანა ნაკეთობამ რომ არგვუნა. რამდენ
იმე ფურცლის მერე ჰესე ძალზე თავმდაბ
ლურად ამბობს — დიდი მწერალიც რომ
ვყოფილიყავი, ისე მაინც ვერ აღვნერდ
ბედნიერებისგან გადანათებულ სახეს და
უბინებას ჩემი ძმისა, რომ ეს აღწერილო
ბა სხვისთვის, მეითხველისთვის რაიმეთ
მნიშვნელოვანი გამხდარიყო.

ჰანსი სამაგალითოდ კეთილსინდის
იერი ტექნიკური მუშაკია, ოჯახსაც
მოეკიდება, რომელილაც დიდ საწარმოში
მუშაობს და დაკისრებულ მოვალეობასაც
გერმანული სიზუსტით ასრულებს. წარ
მოების (ქარხნის) უფროსი დანინაურება
დაუბირებს, მაგრამ ჰანსი ცივ უარზეა
არაფრით არ უნდა, ვინმე ექვემდებარებ
ბოდეს და სხვებს მითითებებს აძლევდეს
თანდათან ენერგება ნერვები, კოშმარებში
გახვეული და ღამე ყვირილით აღვიძებ
ცოლ-შვილს.

შმები ერთმანეთს ხანგამოშვებიი
ხვდებიან, მაგრამ მოგონებაში არის აშკა
რა მინიშნება, რომ მექანიკური სამუშაოს
გან ავტომატად ქცეულ ჰანსს თვითმკვ
ლელობისკენ უჩნდება მიღრეკილება
უფროსი ძმა ერთხელ რევოლუციურს უპოვის
რაღაცა ცუდს, არასახარბიელოს იაზი
რებს და გადაუმალავს.

სანარმოში კრიზისული მდგომარეობა იქმნება — მუშახელის შემცირება აპირებენ. ჰერმანი არწმუნებს ძმას, რომ მას გათავისუფლების საფრთხე არ ემუქრება. ჰანსი თითქოს მშვიდდება, მაგრა ცოტა ხნის მერე ისევ იჩყებს წრიალს — თავი ხანდაზმულად მიაჩნია, ორმოცდაათ წელს არის

გადაშორებული და ისედაც მწირი შემოსავლის მქონეს ჰეთი, სადაცაა დაითხოვენ.

მოგონებას თავიდან პოლომ-
დე გასდევს პატარა ჰანსის ის
შორეული, ბედნიერების წუთებ-
ის გამომხატველი, ოდნავ
ნაღველშეპარული ღრმილი. მალე
ჰანსის ოჯახი აფორიაქდება; იგი
მოულოდნელად გადაიკარგება.
ძებნას იწყებენ. მალე მკვდარს
იპოვიან, სახლის სიახლოვეს, მინ-
დორში, ჯავყით ყელგამოჭრილს.
ბევრი საშინელება მინახავს და
წამიერთხავს, მაგრამ ამ მწუხარე
მოგონებასავით დამთრგუნვე-
ლად ცოტა რამეს თუ უმოქმედია
ჩიმზი.

რევოლუცია არ ჰქონდა, მა-
გრამ ჯაყვა საკმარისი აღ-
მოჩნდათ, წერს ჰერმან ჰესე ძმაზე
და გასაგებია, რისი თქმაც უნდა.
ნოემბრის ბოლოს კუბოში ხედავს
იგი ჰანსს. თოვლიანი დღეა, გამ-
ოოშავთ თა მიუაღთობოთს, თა-

მილი შეკყინვია ბაგეზე, ღირილი, ერთ
დროს, შობის იმ დაუკინებელ საღამოს ასე
რომ აცისეროვნებდა პატარა ბიჭის შუბლ-
სა და სახეს.

სამეცნიერო რიტუალის დროს ჰერ-
მან ჰესე მიხვდება — მისი ძმა ძალიან ჰყ-
ვარებით ადამიანებს და დიდი პატივითაც
ასაფლავებენ. მოგონების დასასრულს,
ცოცხლად დარჩენილ ძმას სულიერი სიმშ-
ვიდე ეუფლება. რამდენს დაკვარგავდი, იმ
ნაღვლიან დღეებში ყველა მათგანთან ერ-
თად რომ არ ვყოფილიყავი და მერე მის
საფლავთან არ ვმდგარიყავიო, თავს იმშ-
ვიდებს.

დარჩენილია ჰესეს საოჯახო სურათი,
1889 წელს გადაღებული, რომელზედაც
ჰქონდა 12 წლისაა. იგი მარცხენა (სინამდ-
ვის გარე) და მარცხენა (სინამდ-
ვის გვერდი).

კილეში, მარჯვენა) კუთხეში ზის
დამკლავებული, მორის გადანაჭერზე,
თავშიმშევლი, მუხლებამდე დაწვდენილი
რუხი შარვალი და შავი ხალათი აცვია,
თეთრი, გახამებული საყელო შეკრულია.
ქერათმიანს, მოწყენილი და ჭკვიანური
მზერა აქვს. ჯერ მომავალზე ფიქრობს.
სულ მაღლე ძველი ბერძნული ენის შესწავ-
ლას შესთავაზებენ და დათანხმდება, ორი
წლის მერე კი არც იმის წინააღმდეგი იქნე-
ბა, ძველებრაულს ჩაუჯდეს. მის გვერდით
მამამისი, დინჯი სწავლული, შავნერმოშ-
ვებული, შავ სამოსში გამოწყობილი, მშვი-
დი გამომეტყველების უპატიოსნესი კაცი
— როგორც შვილი ამბობს, გონიერების
განსახიერება, დაჩუქურთმებულ სკამზე
მოთავსებულა და მუხლზე გაღიმებული,
მორცხვად მზირალი ქალიშვილი, პერმან-
ზე ალბათ ერთი წლით უმცროსი მარიულა
უზის, რაღაცას ქსოვს. სარკმელში ოჯახ-

ის დედა გადმომდგარა, ძლიერი, ნებისყოფიანი შაომანი ქალბატონი, ინდოეთში დიდი ხნით ნაცხოვრები და არაერთ საიდუმლოთა მატარებელი. მის გვერდით დგას ჰერმანის უფროსი და ადელი, ვისთანაც იგი ყველაზე მეტ საერთოს პოულობდა და მოხუცებულობაშიც, როგორც თანამოაზრეს, წერილებს უგზავნიდა. კედელზე მიყრდნობილ ადელს მარჯვენა ფეხი შემაღლებულ ადგილზე უდევს და რაფაზე ჩამოყრდნობილ მარცხენა ხელში პატარა, თეთრი ყვავილი უჭირავს, ჭკვიანი სახე თეთრად უქათქათებს, სამოსელი მასაც შავი აცვია. უფროსი ვაჟი ამ სურათზე არ ჩანს, ალბათ სხვაგან იმყოფებოდა. მარჯვენა კიდეში (ისე კი მარცხენივ) თეთრ სათამაშო ცხენზე გადამჯდარა ყველაზე უციროსი, ხუთიოდე წლის ბუჩქულა პანსი. მუქი ხალათის ზემოთ, თეთრი საყელო მკერდამდე უნევს, ხელთ პანია აღვირი უჭირავს. ცხენი, ბორბლების ნაცვლად, ციგასავით ბოლოებაშვერილ ფიცარზეა დაქრული. ბიჭი მას ვერ გააჭენებს (მაშინ სათამაშოს გორგოლაჭები უნდა ჰქონდა). მხოლოდ ადგილზე შეუძლია რჩევა,



ଶ୍ରୀମିଳ ପରିବାରଙ୍କ ପାତା ଲାଗୁଣ୍ୟାଶ୍ରୀମିଳ-୧୯୩୯, କାନ୍ଦାରାଜାରୁ

მაგრამ, ეტყობა, ამითაც კმაყოფილია. ვერაფრით ვერ იფიქრებ, რომ ნახევარი საუკუნის მერე, იმედგადანურული მუშა, სპეტა კი ადამიანი, ვისაც დაუძლეველი შიში აქვს, რომ სამსახურიდან დაითხოვენ, სახლიდან გაიპარება და მინდორში ჯაყვით ყელს გამოილადღავს. ამ სურათის აღნერაზეც ამდენი იმიტომ ვიჯხხირე, რომ გული მომიკლა პატარა პანის სილვამ და ჩემი ქმის (ბაგშვობაში ხშირად იყო მოღუშული) პატარაობის სურათები მომაგონა.

ეგებ უადგილოდ და არცთუ გამართლებულად გამოიყურებოდეს, მაგრამ ვახტანგის ერთი ახილებული თვისება უნდა გავიხსენო. ხუთი თუ ექვესი წლისამ, ვიდრე სკოლაში მიაბარებდნენ, დაბანილმა და ლოგინში დასაძინებლად ჩაწვენილმა, მარჯვენა ხელის ცერის წუნნა დაიწყო, ეტყობოდნა, სიამოვნებდა. დილამდე ედო ცერი პირში და წუნნიდა. ორიოდე კვირაში ის ცერი ისე დაუწვრილდა და დაუგრძელდა, შეეჭფოთდით. ბებიაჩემა ამის გამო „ცერუკა“ შეარქვა, მსუბუქად დასცინოდა, ცდილობდა შეერცხვინა. მამიდამ მარჯვე ხერხი მოიფიქრა — თითებზე ქინაქინა წაუსვა და, როგორც იქნა, ეს მავნე ჩვეულება მოაშლევინა. სხვა მხრივ არაფერს აშავებდა.

უცნაურზე უცნაური ადამიანი იყო
ჰერმან ჰესე. რა დაემალებოდა საოვალის
მიღმა მისი მოუსვენარი გუგების გამომ-
ცდელ ციმციმს?! ნარსულის ფსკერდაუ-
წვდენელ სიღრმეებში ჩაძირვა და გარდა-
სულთა ლანდების მოხილვა უყვარდა. მზ-
ერას აჩვევდა გაუჭრელ წყვდიადს. ყვე-
ლაზე მეტად ჯადოქრის საქმიანობა იზიდა-
ვდა და მოგვიანებით სიტყვის ხელოვნება-
ში ცდილობდა ამის გაკეთებას (ლექსიც
აქვს თავის თავზე დანერილი — „ჯა-
დოქრის ბავშვობა“). გარემომცველი სი-
ნამდვილე მოსაწყენი ეჩვენებოდა და მის
გარდასხეულებას, მონუსხვას ლამობდა.
ოცნების წყალობით მიწიერ სამოთხეში
დიდხანს ვცხოვრობდიო, ეამაყებოდა. ნე-
ბიერი ბავშვობა კურდღლებთან და
მოთვინიერებულ ყვანჩალასთან გაატარა
მამამისის ხელით შემოღობილ ეზოში. ფა-
ნატიკურ მეოცნებეს შეგულებულ,
მყუდრო, გადატიხრულ ფიცრულში უყ-
ვარდა ყუჩაბა ჯდომა და წლების მერე იხ-
სენებდა: „ვერავინ დაითვლიდა, მე იქ იმ-
დენი უსასარულოდ გრძელი საათი ვყო-
ფილვარ, სითბოსა და დაუფლების ნე-
ტარებას ვგრძნობდი; კურდღლებს სიც-
ოცხლის, ბალახისა და რძის, სისხლისა და
ჩასახვის სურნელი ასდიოდათ, ხოლო
ყვავის შაგ, სასტიკ თვალში მარადისობის
ჩირაღდანი გიზგიზებდა“.

ლების გორვა. ერთხელ, ყმანებილობისას, უზარმაზარი შადრევნის ღრმულში ჩავარდნილა (ეს ჩავარდნა უცნაურად აქვს აღნერილი). იქიდან მეზობლის ახალგაზრდა, ლამაზ ცოლს ამოუზრუვია, გადაურჩნია და მალე წამოზრდილს, დავაუკაცებულს, თავის მხსნელ, ფერხორციან ბანოვანთან ინტიმური კავშირი გაუბამს, ყურად არ უღია ჩვენებური შეგონება — „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ!..“ კაი გემოს კი ჩაატანდა; იმ კალთამადლიან ქალბატონს შეატოვა სიჭაბუკის უბინოება. რამდენადაც მახსოვს და მივხვდი, ცუდი აზრით, გასაკილავად, დასამცირებლად არ უნდა ჰქონდეს ნათქვამი ეს ფრაზა: „მეზობლის ცოლს გენიალური სიპრიოვე“.

ჰერმან ჰესეზე და მის ახლობლებზე, ოჯახის წევრებზე ბევრო რამის თქმა შემოძლია (აჯობებს ჩემიანებს მიგხედო), მაგრამ ეს მეტისმეტად გადატვირთავდა, დაამძიმებდა ისედაც ნაღვლიან ფურცლებს.

ისევ ჰანსიზე დაწერილ გულისაჩამგლეჯ
მოგონებებს უნდა მივუბრუნდე, ამდენი
სატკივარი ხელახლა რომ ამიშალა და ჩემი

ბედუუგულმართი მმის მოუნელებელი ტრა-
გედია საშინელი ძალით დამიტრიალა. ერთ-
ადგილს კიდევ მოვიხმობ ხსენებული მოგ-
ონებებიდან, რასაც ვერცერთი სულიერ-
არსება მშეიძად, ნერვის შეუტოკებლად
